საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოლაბერიძე ნანული მიხეილის ასული

ნ. დოლაბერიძე

დოლაბერიძე ნანული მიხეილის ასული (დ. 8. XI. 1942, ქუთაისი), ქიმიკოსი. ქიმიის მეცნ. დოქტორი (1999). დაამთავრა საქართვ. პოლიტექ. ინ-ტის ქიმიისა და კვების ტექნოლოგიის ფაკ-ტი (1964). მუშაობდა ავღანეთში, ქ. მაზარი-შერიფის აზოტოვანი სასუქების საწარმოში კონსულტანტად (1979– 81). 2006-იდან მუშაობს პ. მელიქიშვილის სახ. ფიზ. და ორგანული ქიმიის ინ-ტში. კვლევის ძირითადი თემაა: ალუმინსილიკატურ სისტემებში მიმდინარე ცეოლითწარმოქმნის და იონმიმოცვლითი პროცესები. მიღებული აქვს ალ. თვალჭრელიძის პრემია (2005).